

საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში



06 თებერვალი, 2018 წელი

სარჩევი

1. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები.....	4
სისხლისსამართლებრივი დევნა.....	4
სრულწლოვანთა განრიდება.....	7
აღკვეთის ღონისძიებები	7
სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა.....	13
2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.....	20
3. პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო	30
გამოძიების დაწყება	30
სისხლისსამართლებრივი დევნა.....	32
განაჩენები	34
იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება.....	35
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგები	36
5. ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა	40
ოჯახური დანაშაული.....	40
დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაული	45
არასათანადო მოპყრობა	46
ტრეფიკინგი.....	47
ტერორიზმი	48
6. ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმეთა განხილვა.....	49
7. გამოძიებისა და საპროკურორო საქმისნობის ხარისხის ამაღლება.....	50
8. კვლევები	53
9. გენერალური ინსპექციის მუშაობის შედეგები.....	54
10.....	ეთიკის კოდექსი 55
11.....	საკონსულტაციო საბჭო 55
12.....	პროკურატურის ადამიანური რესურსები 56
13.....	დანაშაულის პრევენცია 57
14.....	საზოგადოებასთან ურთიერთობა 58

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური.....	58
საჯარო ინფორმაციის გაცემა.....	60
მოქალაქეებთან კომუნიკაცია და ინფორმაციის გავრცელება	61
15.....გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო	61
16.....სამომავლო გეგმები	62


წარმოგიდგენთ საქართველოს მთავარი პროკურორის რიგით მეოთხე ანგარიშს, რომელიც ასახავს საქართველოს პროკურატურის 2017 წლის მუშაობის შედეგებს.

2017 წელი იყო პირველი წელი ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პირობებში. შესაბამისად, იგი დატვირთული იყო სიახლეებითა და რეფორმებით. ვფიქრობ, წინამდებარე ანგარიშში მოცემული სტატისტიკური მონაცემები და განხორციელებული ღონისძიებები მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს პროკურატურამ წარმატებით გაართვა თავი მის წინაშე არსებულ გამოწვევებს.

1. გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები


სისხლისსამართლებრივი დევნა

2016 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 16 085 პირის, ხოლო 2017 წელს - 15 789 პირის (სრულწლოვნები და არასრულწლოვნები) მიმართ. შესაბამისად, 2017 წელს 2016 წელთან შედარებით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 1,8%-ით არის შემცირებული.



2017 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, 260-ე და 126¹ მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე.


მუხლები, რომლებზეც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა
(2017 წელი)



2016 წელსაც სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე (ქურდობა) - 19.5% და 260-ე (ნარკოტიკული

საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა) მუხლებზე - 11.5%. თუმცა, 2017 წლისგან განსხვავებით, 2016 წელს მესამე ადგილს იკავებდა 273-ე მუხლი (ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება) - 11.3%-ით.

**მუხლები, რომლებზეც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა
(2016 წელი)**




სრულწლოვანთა განრიდება

პროკურორების მიერ აქტიურად ხდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმის - განრიდების გამოყენება.

2016-2017 წლებში სრულწლოვანი (21 წლის ზემოთ ასაკის) პირების მიმართ განრიდება ძირითადად გამოყენებული იქნა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულებზე. განრიდებისას მხედველობაში მიიღება დანაშაულის ხასიათი, დამდგარი შედეგი, დაზარალებულის პოზიცია, დანაშაულის ჩამდენის პიროვნება და სხვა გარემოებები, რომლებიც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს ახასიათებს. აღსანიშნავია ისიც, რომ განრიდება, როგორც წესი, არ გამოიყენება ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ, ასევე, ისეთ დანაშაულებზე, რომელთა ჩადენამ გამოიწვია მძიმე და გამოუსწორებელი შედეგი.

სრულწლოვანი განრიდებულების რაოდენობა




აღკვეთის ღონისძიებები

პროკურორთა მიერ ყველა დევნადაწყვეტილი პირის მიმართ პირველი წარდგენის სხდომაზე არ ხდება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნა შემდეგ მიზეზთა გამო: ნაწილთან ამ ეტაპზევე ფორმდება საპროცესო შეთანხმება, ხოლო ნაწილის მიმართ არ არსებობს აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის საპროცესო საფუძველი (2016 წელს დევნადაწყვეტილ პირთა 67.9%-ის მიმართ იქნა მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, ხოლო 2017 წელს - 58%-ის მიმართ).

რაც შეეხება პროკურორთა მიერ პატიმრობის მოთხოვნას, 2009 წელს პატიმრობის შეფარდება მოთხოვნილი იქნა დევნადაწყვეტილ პირთა 43.6%-ის მიმართ, 2010 წელს - 40%-ის, 2011 წელს - 37.5%-

ის, 2012 წელს - 35.1%-ის, 2013 წელს - 25.3%-ის, 2014 წელს - 34.2%-ის, 2015 წელს - 33.1%-ის, 2016 წელს - 30%-ის, ხოლო 2017 წელს - 26%-ის მიმართ.¹ აღნიშნული პროცენტული მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ ყოველ მომდევნო წელს მცირდება პროკურორთა მიერ პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი და იგი გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.


პროკურორის მიერ მოთხოვნილი საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებები



პატიმრობის შემცირების პარალელურად, უნდა აღინიშნოს რომ ძალადობრივი დანაშაულისათვის ბრალდებული პირების მიმართ ხორციელდება მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა. კერძოდ, სსკ-ის 108-ე (მკვლელობა), 109-ე (მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), 117-ე (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) და 179-ე (ყაჩაღობა) მუხლებით ბრალდებულ პირთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით ხდება პატიმრობის მოთხოვნა. 2014-2017 წლებში საქართველოს სსკ-ის 108-ე, 109-ე, 19-108-ე, 19-109-ე მუხლებით ბრალდებული ყველა პირის მიმართ პროკურორების მიერ მოთხოვნილი იქნა პატიმრობის შეფარდება. ასევე, 2014 წელს სსკ-ის 179-ე მუხლით ბრალდებულთა 99.4%-ის მიმართ, ხოლო 2015-2017 წლებში ამ მუხლით ბრალდებულთა 100%-ის მიმართ მოთხოვილი იქნა პატიმრობა. რაც შეეხება 117-ე მუხლით ბრალდებულ პირებს, 2014 წელს პატიმრობა მოთხოვნილი იქნა ამ დანაშაულის ჩამდენ ბრალდებულთა 79%-ის მიმართ, 2015 წელს - 81%-ის, 2016 წელს - 87%-ის, ხოლო 2017 წელს - 93%-ის მიმართ. ზემოაღნიშნულ მუხლებზე პატიმრობის მოთხოვნა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სასამართლოს მიერ კმაყოფილდება.


¹ გრაფიკში პატიმრობისა და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებლები გამოთვლილია დევნადაწყვეთულ პირთაგან.

პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი



პატიმრობის შემცირების პარალელურად, ბოლო წლებში შემცირებულია დევნადაწყვებული პირების მიმართ საპატიმრო გირაოს მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელიც.²


პროკურორების მიერ მოთხოვნილი საპატიმრო გირაოს მაჩვენებელი



რაც შეეხება სასამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელს, 2009 წელს პატიმრობა შეეფარდა დევნადაწყვებულ პირთა 41%-ს, 2010 წელს - 39.7%-ს, 2011 წელს - 37.5%-ს, 2012 წელს - 34%-ს, 2013 წელს - 18.2%-ს, 2014 წელს - 22.6%-ს, 2015 წელს - 20.6%-ს, 2016 წელს - 19.2%-ს, ხოლო 2017 წელს - 19,4%-ს.

² გრაფიკში საპატიმრო გირაოს მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელი გამოთვლილია დევნადაწყვებულ პირთაგან.

სასამართლოს მიერ საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების მაჩვენებელი




პროკურორების მიერ დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ 2009-2011 წლებში სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულია პროკურორთა მიერ დაყენებული შუამდგომლობების 99%-ზე მეტი, 2012 წელს - 98.3%, 2013 წელს - 85.6%, 2014 წელს - 77.1%, 2015 წელს - 72.7%, 2016 წელს - 73.5%, 2017 წელს - 83.2%.³

³ სრულად დაკმაყოფილებულ შუამდგომლობებში ჩათვლილია ის შუამდგომლობებიც, როცა მოხდა ცვლილება მხოლოდ გირაოს თანხის ნაწილში.

პროკურორის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებების დაკმაყოფილების მაჩვენებელი


- არ დაკმაყოფილდა (დატოვა აღკვეთის გარეშე)
- დაკმაყოფილდა სრულად
- დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (შეეფარდა აღკვეთის სხვა სახე)



რაც შეეხება პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელს, 2009-2011 წლებში სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებულია პროკურორთა მიერ პატიმრობის მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების 99%-ზე მეტი, 2012 წელს - 96.9%, 2013 წელს - 73.4%, 2014 წელს - 67%, 2015 წელს - 63.2%, 2016 წელს - 64%, 2017 წელს - 74,6%.

პროკურორის მიერ მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი

- არ დაკმაყოფილდა (დატოვა აღკვეთის გარეშე)
- დაკმაყოფილდა სრულად
- დაკმაყოფილდა ნაწილობრივ (შეეფარდა აღკვეთის სხვა სახე)




2016-2017 წლებში, 2015 წელთან შედარებით, გაზრდილია როგორც ზოგადად აღკვეთის ღონისძიებების, ასევე პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი. აღნიშნული განპირობებულია აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით პროკურატურის სისტემაში შემუშავებული რეკომენდაციით (რომლის განახლება მუდმივად მიმდინარეობს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებისა და კრიმინოგენული ვითარების მხედველობაში მიღებით) და პროკურორთა მუდმივი გადამზადებით, რამაც გაზარდა აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნილ დაყენებული შუამდგომლობების დასაბუთების ხარისხი. 2017 წელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის ევროკავშირის პროექტის დახმარებით, სამართლებრივი მართლწერის თემაზე სწავლება გაიარა 197-მა პროკურორმა და პროკურატურის სტაჟიორმა. აღნიშნული ტრენინგის ფარგლებში ყურადღება გამახვილდა აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნილ დაყენებული შუამდგომლობების დასაბუთებაზე.

სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა


2009 წელს პირველი ინსტანციის საერთო სასამართლოებმა განიხილეს 18 392 პირის, 2010 წელს - 19 956, 2011 წელს - 18 212, 2012 წელს - 11 043, 2013 წელს - 15 240, 2014 წელს - 16 903, 2015 წელს - 15 366, 2016 წელს - 16 064, ხოლო 2017 წელს - 14 035 პირის ბრალდების საქმე.

პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც გამოტანილი იქნა განაჩენი



2017 წელს გასამართლებული 14 035 პირიდან 70,4%-ზე განაჩენი გამოტანილი იქნა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო 29,6%-ის მიმართ საქმე არსებითად იქნა განხილული. 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, საპროცესო შეთანხმების მაჩვენებელი გაზრდილია 7.5%-ით.


არსებითი განხილვითა და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე
გამოტანილი განაჩენები



2017 წელს ასევე გაზრდილია გამოძიების ადრეულ ეტაპზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელიც. კერძოდ, გაიზარდა პირველი წარდგენის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების მაჩვენებელი არსებითი განხილვის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შემცირების პარალელურად. საპროცესო შეთანხმების ადრეულ ეტაპზევე გაფორმება და ამის საფუძველზე დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა ხელს უწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, ასევე ზოგავს როგორც პროკურატურის, ასევე სასამართლო სისტემის ძალიან დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსს. ამასთან, საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას დაზარალებული ადარ არის ვალდებული გამოცხადდეს სასამართლო პროცესზე და ჩვენების მიცემისას კიდევ ერთხელ განიცადოს დანაშაულის შედეგად განცდილი სტრესი.


საპროცესო შეთანხმების გაფორმების სტადიები

■ 2014 წელი ■ 2015 წელი ■ 2016 წელი ■ 2017 წელი



2017 წელს არსებითი განხილვის საფუძველზე გამოტანილი განაჩენებიდან, ბრალდებულთა 5,1%-ის მიმართ (214 პირი) სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 3.2%-ის მიმართ (134 პირი) - ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი.


არსებითი განხილვით გამოტანილი განაჩენების სტატისტიკა



2017 წელს გამამართლებელი განაჩენების დიდი ნაწილი გამოტანილ იქნა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ და ოჯახურ დანაშაულებზე. გამამართლებელი განაჩენების გამოტანის საფუძველი გახდა საქმის არსებითი განხილვის სხდომებზე ბრალდებულის ახლო ნათესავების მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლით მინიჭებული - ჩვენების მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით სარგებლობა, ხოლო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე - მტკიცებულებათა არასაკმარისობა (გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის არარსებობა).


წინა წლებთან შედარებით, 2016-2017 წლებში შემცირებულია საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი. კერძოდ, 2014 წელს საპროცესო შეთანხმების დადებისას ჯარიმა გამოყენებული იქნა ბრალდებულთა 47%-ის, 2015 წელს - 44.6%-ის, 2016 წელს - 33,8%-ის, ხოლო 2017 წელს - 35.9%-ის მიმართ.

საპროცესო შეთანხმების დადებისას ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი




საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების მაჩვენებლის შემცირების პარალელურად, მნიშვნელოვნად არის შემცირებული ჯარიმის სახით ბიუჯეტში გადახდილი თანხების ოდენობა. აღნიშნული განპირობებულია როგორც სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების რაოდენობის კლებით, ასევე, გამოყენებული ჯარიმის ოდენობის შემცირებით.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ბიუჯეტში ჩარიცხული ჯარიმის ოდენობა




გაზრდილია საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელი. კერძოდ, 2014 წელს საპროცესო შეთანხმების დადებისას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გამოყენებული იქნა ბრალდებულთა 7.8%-ის, 2015 წელს - 12%-ის, 2016 წელს - 19.6%-ის, ხოლო 2017 წელს - 20%-ის მიმართ.

საპროცესო შეთანხმების დადებისას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელი



2017 წელს კიდევ უფრო ნაკლებად იქნა გამოყენებული საპროცესო შეთანხმების პირობად თავისუფლების აღკვეთა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით. კერძოდ, 2014 წელს საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული იქნა ბრალდებულთა 33.7%-ის მიმართ, 2015 წელს - 25%-ის, 2016 წელს - 18.3%-ის, ხოლო 2017 წელს - 16.4%-ის მიმართ.


**საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელაღსრულების
დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების
მაჩვენებელი**



საპროცესო შეთანხმება თავისუფლების აღკვეთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდის პირობით, წინა წლების მსგავსად ძირითადად გამოყენებული იქნა საჯარო მოხელეების, ოჯახური და ძალადობრივი დანაშაულების ჩამდენი, ნასამართლევი, ნარკოტიკული საშუალების შემომტანი და გამსაღებელი პირების მიმართ, აგრეთვე, დანაშაულთა/განაჩენთა ერთობლიობის შემთხვევებში.

თავისუფლების აღკვეთის შემცირების პარალელურად უნდა აღინიშნოს, რომ მკაცრია სისხლის ცხასამართლის პოლიტიკა ძალადობრივი დანაშაულების მიმართ. 2014-2017 წლებში საქართველოს სსკ-ის 108-ე, 109-ე, 19-108-ე, 19-109-ე მუხლებით მსჯავრდებული ყველა პირის მიმართ სასჯელის სახედ გამოყენებული იქნა თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. ასევე, სსკ-ის 117-ე მუხლით მსჯავრდებულთა უმრავლესობას სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. კერძოდ, 2014 წელს თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა აღნიშნული მუხლით მსჯავრდებულთა 54%-ს, 2015 წელს - 61%-ს, 2016 წელს - 61%-ს, ხოლო 2017 წელს - 69%-ს. რაც შეეხება სსკ-ის 179-ე მუხლით მსჯავრდებულ პირებს, 2014 წელს მათ 99%-ს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, 2015 წელს - 94%-ს, 2016 წელს - 91%-ს, ხოლო 2017 წელს - 94%-ს.

თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი




2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ბოლო წლებში განხორციელებულმა რეფორმებმა გაზარდა განრიდების პროცენტული მაჩვენებელი, შეამცირა განრიდებამდე არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემთხვევები ასევე, არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შემთხვევები. ასევე, პროკურატურის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ არასრულწლოვანთა განრიდების სტატისტიკური მაჩვენებლის ზრდის პარალელურად, მნიშვნელოვნად არის გაუმჯობესებული არასრულწლოვანთა განრიდებისა და მათ მიმართ დევნის განხორციელების პროცესის მიმდინარეობის ხარისხი და მაქსიმალურად უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მიმართ შემჭიდროებულ ვადებში გადაწყვეტილების მიღება.


პროგრამის ამოქმედებიდან (2010 წლიდან) დღემდე სულ განრიდებულია 1975 არასრულწლოვანი, რომელთაგან 2 (პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი გამოყენებულ იქნა) განრიდდა 2010 წელს, 81 - 2011 წელს, 125 - 2012 წელს, 331 – 2013 წელს, 203 - 2014 წელს, 296 - 2015 წელს, 462 - 2016 წელს, ხოლო 475 - 2017 წელს.

განრიდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა




2016-2017 წლებში განრიდების პროცენტული მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აჭარბებს არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს. 2014-2015 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი 50%-ზე დაბალი იყო, ხოლო 2016-2017 წლებში არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელმა 60%-ს გადააჭარბა.

არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განრიდების გამოყენების მაჩვენებელი




არასრულწლოვანთა განრიდების რაოდენობის ზრდის პარალელურად, 2017 წელს, მნიშვნელოვნად არის შემცირებული განრიდების გამოყენებამდე არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. 2014 წელს განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 78 არასრულწლოვნის მიმართ, რაც განრიდების საერთო რაოდენობის 38%-ს წარმოადგენდა, 2015 წელს - 73 არასრულწლოვნის მიმართ (25%), 2016 წელს - 74 არასრულწლოვნის მიმართ (16%), ხოლო 2017 წელს განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მხოლოდ 29 არასრულწლოვნის მიმართ, რაც განრიდებულთა საერთო რაოდენობის 6%-ს შეადგენს.

განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, პროკურორს აქვს არასრულწლოვნის განრიდების შესაძლებლობა მხოლოდ ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. 2016 წელს, წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდების გამოყენების შემთხვევები. კერძოდ, 2014 წელს მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდებული არასრულწლოვნების ხვედრითი წილი იყო 31%, 2015 წელს - 32%, 2016 წელს - 39%, ხოლო 2017 წელს - 46%.

**მძიმე კატეგორიის დანაშაულზე განრიდებულ არასრულწლოვანთა
მაჩვენებელი**




განრიდების გამოყენება ძირითად შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე (ქურდობა) მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩამდენი არასრულწლოვნების მიმართ ხდება. დანაშაულის სიმძიმეს, ძირითად შემთხვევებში განაპირობებს არასრულწლოვნების მიერ ქურდობის ჯგუფურად ჩადენა. 2016 წელს 462 განრიდებული არასრულწლოვნიდან 323-ს (70%), ხოლო 2017 წელს განრიდებული 475 არასრულწლოვნიდან 363-ს (76%) სწორედ სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჰქონდა ჩადენილი.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ განხორციელებული მონიტორინგი ცხადყოფს, რომ ყოველწლიურად უმჯობესდება არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის მიმდინარეობის ხარისხი. კერძოდ, იშვიათია წინასასამართლო სხდომის თარიღის გაგრძელების შემთხვევები; ამასთან, წინასასამართლო სხდომამდე პერიოდი ძირითად შემთხვევებში 20 დღემდეა; ასევე, შემცირებულია არასრულწლოვანთა დაკავების მაჩვენებელი; მაქსიმალურად უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროულობა (2017 წელს განრიდებული 475 არასრულწლოვნიდან 316-ის (67%) მიმართ განრიდების გადაწყვეტილება დანაშაულის ჩადენიდან პირველივე თვეს იქნა მიღებული).


2017 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა სასამართლოდან პროკურორისთვის განრიდების მიზნით საქმეთა დაბრუნების მაჩვენებელი. 2016 წელს სასამართლომ განრიდების გამოსაყენებლად პროკურატურას საქმე დაუბრუნა 38 არასრულწლოვნის (დევნადაწყებულ არასრულწლოვანთა 18.7%-ის მიმართ), ხოლო 2017 წელს მხოლოდ 21 არასრულწლოვნის მიმართ (დევნადაწყებულ არასრულწლოვანთა 7.7%-ის მიმართ). აღნიშნული მაჩვენებლები მიუთითებს, რომ პროკურორთა მიერ დროულად და სწორად ხდება არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამაში ჩართვა.

სასამართლოდან განრიდების მიზნით საქმის დაბრუნების მაჩვენებელი




განრიდების პროგრამის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი განრიდების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაა. 2017 წელს განრიდების ხელშეკრულების დარღვევის 36 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც განრიდებულთა საერთო რაოდენობის 7.5%-ს წარმოადგენს. 36 შემთხვევიდან განმეორებითი დანაშაული ჩადენილ იქნა 13 შემთხვევაში (ცამეტივე შემთხვევაში შეწყდა განრიდების პროცესი), ხოლო 23 შემთხვევაში არ შესრულდა განრიდების ხელშეკრულების პირობები (3 არასრულწლოვნის მიმართ განრიდების პროცესი შეწყდა, ხოლო 20 არასრულწლოვანს გაუგრძელდა განრიდების ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ხელშეკრულების განმეორებითი დარღვევა არცერთ შემთხვევაში არ დაფიქსირებულა).

2017 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ დათვლილი იქნა 2010-2016 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი. შედეგების მიხედვით, განმეორებითი დანაშაული ზემოაღნიშნულ პერიოდში განრიდებულ არასრულწლოვანთა მხოლოდ 9%-მა ჩაიდინა. კერძოდ, ხელშეკრულების ვადის ამოწურვიდან პირველივე წელს დანაშაული ჩაიდინა 85-მა არასრულწლოვანმა (5.6%), მეორე წელს დანაშაული ჩაიდინა 34-მა არასრულწლოვანმა (2.3%), ხოლო მესამე წელს დანაშაული ჩაიდინა 15-მა არასრულწლოვანმა (1%).




არასრულწლოვანთა მიმართ ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება აისახა მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელზეც. 2016-2017 წლებში, წინა წლებთან შედარებით შემცირებულია პროკურორთა მიერ პატიმრობის მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების მაჩვენებელი. 2009 წელს პატიმრობა მოთხოვნილი იქნა არასრულწლოვანთა 43.7%-ის მიმართ, 2010 წელს - 40.5%-ის, 2011 წელს - 30%-ის, 2013 წელს - 36.5%-ის, 2014 წელს - 26,4%-ის, 2015 წელს - 21,5%-ის, 2016 წელს - 11,5%-ის, ხოლო 2017 წელს - 9.1%-ის მიმართ.

მოთხოვნილი პატიმრობის მაჩვენებელი არასრულწლოვნებში




რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის შეფარდებას, 2009 წელს სასამართლოს მიერ პატიმრობა შეეფარდა არასრულწლოვანთა 42.6%-ს, 2010 წელს - 39.7%-ს, 2011 წელს - 24.6%-ს, 2012 წელის - 21.6%-ს, 2013 წელს - 11.1%-ს, 2014 წელს - 12.5%-ს, 2015 წელს - 9.4%-ს, 2016 წელს - 4.1%-ს, ხოლო 2017 წელს - 6.6%-ს.

პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი არასრულწლოვნებში




რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილ განაჩენებს, 2009 წელს განაჩენი გამოტანილი იქნა 453 არასრულწლოვნის, 2010 წელს - 566, 2011 წელს - 575, 2013 წელს - 349, 2014 წელს - 328, 2015 წელს - 270, 2016 წელს - 127, ხოლო 2017 წელს - 179 არასრულწლოვნის მიმართ.

არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომელთა მიმართ გამოტანილი იქნა განაჩენი



2017 წელს გასამართლებული 179 არასრულწლოვნიდან 68.7%-ზე განაჩენი გამოტანილი იქნა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო 31.3%-ის მიმართ საქმე არსებითად იქნა განხილული.


არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი განაჩენები



საინტერესოა არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენების თანაფარდობა. 2014 წელს სასამართლოს არასრულწლოვნის მიმართ გამამართლებელი განაჩენი არ დაუდგენია, 2015 წელს გამართლებული იქნა 10, 2016 წელს - 6, ხოლო 2017 წელს - 3 არასრულწლოვანი.


2016-2017 წლებში ნაკლებად იქნა გამოყენებული საპროცესო შეთანხმების პირობად თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი იყო 17%, 2015 წელს - 9%, 2016 წელს - 3,6%, ხოლო 2017 წელს - 3.2%.

**საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელადსრულების
დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების
მაჩვენებელი**



რაც შეეხება, 18-დან 21 წლამდე ასაკის პირებს, 2016 წელს განრიდდა 322, ხოლო 2017 წელს - 435 18-დან 21 წლამდე ასაკის პირი. 2017 წელს, წინა წელთან შედარებით, 10%-ით არის მომატებული განრიდების პროცენტული მაჩვენებელი დევნის დაწყების მაჩვენებელთან მიმართებით.

**განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების
თანაფარდობა
(18-დან 21 წლამდე ასაკის პირები)**



2017 წელი იყო აქტიური წელი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში კვალიფიკაციის ამაღლებისა და განხორციელებული ღონისძიებების კუთხით.

2017 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე, ევროკავშირის, გაეროს ბავშვთა ფონდისა და აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით ჩატარდა სპეციალიზაციის ორი კურსი, რომლის ფარგლებში გადამზადდნენ პროკურატურის მენეჯერები, პროკურორები, პროკურატურის გამომძიებლები, ასევე, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პრაქტიკაში სწორი იმპლემენტირების ხელშეწყობის მიზნით არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის საკითხებზე ჩატარდა 6 მულტიდისციპლინური სამუშაო შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობას იღებდა 72 სპეციალიზებული პროკურორი. შეხვედრებში პროკურორებთან ერთად ჩართულნი იყვნენ მოსამართლეები, სოციალური მუშაკები და მედიატორები.

ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არასპეციალიზებულ პროკურორებს გაეროს ბავშვთა ფონდის, ევროკავშირის მხარდაჭერითა და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა ტრენინგი დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისა და განრიდების/მედიაციის საკითხებზე, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 133 პროკურორი და პროკურატურის სტაჟიორი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე განხორციელდა 2 ტრენინგი და 1 სასწავლო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

2017 წლის 31 ოქტომბერს, საქართველოს მთავარ პროკურატურაში გაეროს ბავშვთა ფონდის და ევროკავშირის მხარდაჭერით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე კონფერენცია გაიმართა, რომელსაც სახელმწიფო სტრუქტურების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, აგრეთვე სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონფერენციაზე პროკურატურის მიერ წარმოდგენილი იქნა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ანგარიში, განრიდების საქმეების კრიმინოლოგიური ანალიზი და მონაცემები დაზარალებული არასრულწლოვნების შესახებ. ასევე, კონფერენციის მონაწილეებს მიეწოდა ინფორმაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ.

2017 წლის დეკემბერში პროკურატურის ინიციატივითა და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური ჯგუფების კონცეფციის პრეზენტაცია გაიმართა. შეიქმნა 8 მულტიდისციპლინური ჯგუფი (თბილისში, კახეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და აჭარაში), რომლებშიც წარმოდგენილია ყველა იმ უწყების (სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იურიდიული დახმარების სამსახურის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს) წარმომადგენელი, რომლებსაც არასრულწლოვნებთან სხვადასხვა ეტაპზე

აქვთ შეხება. ამგვარი ჯგუფების შექმნა ადგილობრივ ორგანოებს შორის კოორდინაციის გაძლიერებას, რეგიონალურ დონეზე არსებული პრობლემების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებასა და მათ დროულ მოგვარებას ისახავს მიზნად. 2017 წელსვე ჩატარდა რვავე ჯგუფის შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განხილული იქნა არასრულწლოვანთა სფეროში არსებული პრობლემები, ხარვეზები, გამოწვევები. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე წამოჭრილი საკითხების ირგვლივ დასაგეგმი ღონისძიებების შესახებ.

გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით საქართველოს პროკურატურაში, რუსთავის რაიონული პროკურატურის მშენებარე ოფისში მიმდინარეობს სამუშაოები ბავშვზე ორიენტირებული გარემოს (ოთახის) შექმნის მიზნით, რომელიც შესაბამისობაში იქნება გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ მოწვეული ექსპერტის მიერ შემუშავებულ კონცეფციასთან.


როგორც ჩემს წინა ანგარიშში აღვნიშნე, არასრულწლოვნებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების სრულყოფის მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის“ ძალისხმევით, შემუშავდა დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის (მათ შორის, პროკურატურის) მიერ დასამუშავებელი სტატისტიკური მონაცემები და მათი პარამეტრები. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე, 2017 წლის მეორე ნახევარში, იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით და სხვადასხვა სტრუქტურის (მათ შორის ჩვენი) აქტიური ჩართულობით, დაიწერა შესაბამისი ამოცანა, რომლის საფუძველზეც ამჟამად მიმდინარეობს შესაბამისი ელექტრონული პროგრამის შემუშავება. აღნიშნული პროგრამა შესაძლებლობას მოგვცემს ყველა უწყებიდან შეგროვდეს არასრულწლოვნებთან დაკავშირებული მონაცემები.

3. პროკურატურა, როგორც საგამომიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო

გამომიების დაწყება


საქართველოს პროკურატურამ, როგორც საგამომიებო ორგანომ, 2014 წელს გამოძიება დაიწყო 571, 2015 წელს - 855, 2016 წელს - 784, ხოლო 2017 წელს - 724 სისხლის სამართლის საქმეზე.

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



2016 - 2017 წლებში გამოძიება ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 180-ე (თაღლითობა), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა), 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა) და 194-ე (უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია) მუხლებით.


მუხლები, რომლითაც დაიწყო გამოძიება



სისხლისსამართლებრივი დევნა


2014 წელს პროკურატურის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 159 პირის მიმართ, 2015 წელს -161, 2016 წელს - 178, ხოლო 2017 წელს -185 პირის მიმართ.

დევნის დაწყების მაჩვენებელი




2016-2017 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე (თაღლითობა), 194-ე (უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 144³ (დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა), 120-ე (ცემა) და 182-ე (მითვისება-გაფლანგვა) მუხლებით.

მუხლები, რომლებითაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა



აღსანიშნავია, რომ 2016 წელს დევნადაწყებული 178 პირიდან 80 მათგანი (51%), ხოლო 2017 წელს დევნადაწყებული 185 პირიდან 61 მათგანი (33%) მაღალი და საშუალო რგოლის საჯარო მოხელეა. 2017 წელს, ისევე როგორც 2016 წელს, ზემოაღნიშნული საჯარო მოხელეების დიდ ნაწილს წარმოადგენენ პოლიციის თანამშრომლები, რომელთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, უმეტეს შემთხვევაში, დაიწყო 2012 წლამდე ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე.


საჯარო მოხელეები, რომელთა მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა



განაჩენები


2016 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 135, ხოლო გამამართლებელი განაჩენი - 2 პირის მიმართ. 2017 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 167, ხოლო გამამართლებელი განაჩენი - 13 პირის მიმართ. აღსანიშნავია რომ 2014 წლიდან 2017 წლის პირველ ნახევრამდე შეინიშნებოდა გამამართლებელ განაჩენთა რაოდენობის კლება.

გამოტანილი განაჩენები



2014 წელს მსჯავრდებული 86 პირიდან 46-თან, 2015 წელს მსჯავრდებული 144 პირიდან 81-თან, 2016 წელს მსჯავრდებული 135 პირიდან 64-თან, ხოლო 2017 წელს მსჯავრდებული 167 პირიდან 76-თან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი განაჩენები



იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება

2015-2016 წლებში სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის გამოვლენილი იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 50 ფაქტი და მხილებული იქნა 34 საჯარო მოხელე, რომელთაგან 23-ის მიმართ, გამოძიების წინაშე მათი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, გამოყენებული იქნა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება; 2 საჯარო მოხელის მიმართ შეწყდა გამოძიება მათი გარდაცვალების გამო, ხოლო 9 პირის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა.

2015-2016 წლებში დაზარალებულად ცნობილი იქნა 91 პირი, რომელთაც პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდათ დაახლოებით 21 109 167 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება.

2015-2016 წლებში საქართველოს პროკურატურამ 16 მსჯავრდებულის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე, საიდანაც 6 პირის მიმართ 2016 წელსვე დადგა გამამართლებელი განაჩენი.

რაც შეეხება 2017 წელს, გამოვლენილია მოქალაქეებისთვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 20 ფაქტი და მხილებულია 3 საჯარო მოხელე, რომელთა მიმართ, გამოძიებასთან თანამშრომლობის სათვალისწინებით, გამოყენებული იქნა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება.


2017 წელს ქონების იძულებით ჩამორთმევის ფაქტების გამოძიების შედეგად დაზარალებულად იქნა ცნობილი 49 პირი, რომელთაც პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, დაუბრუნდათ დაახლოებით 22 122 911 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება.

2017 წელს საქართველოს პროკურატურამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა 34 მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით. აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, რომლის ფარგლებში მოპოვებულმა მტკიცებულებებმა გამორიცხა ხსენებული პირების მიერ იმ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რისთვისაც ისინი იყვნენ მსჯავრდებულნი. ამავე პერიოდში, საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ხელახალი განხილვის შედეგად გამამართლებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 6 პირის მიმართ.

4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგები

2006-2017 წლებში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, საქართველოს წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილებებიდან (განჩინებების და გადაწყვეტილებების სახით) საქართველოს პროკურატურას ღონისძიებების გატარება 42 საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით დაევალა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებები, რომელთა აღსასრულებლად საქართველოს პროკურატურას დაევალა ღონისძიებების გატარება



2006-2017 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ფარგლებში გამოძიება დაწყებული/განახლებულ იქნა სულ 32 სისხლის სამართლის საქმეზე.

საქართველოს პროკურატურაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით მოცემულ ეტაპზე გამოძიება მიმდინარეობს სულ 27 სისხლის სამართლის საქმეზე, მათ შორის, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობას ექვემდებარება 18 სისხლის სამართლის საქმე, რომელთა შორის მოიაზრება ყველაზე პრობლემური და რთული კატეგორიის ე.წ. „ცინცაბადის ჯგუფის“⁴ საქმეები.


⁴ „ცინცაბადის ჯგუფის“ საქმეები აერთიანებს 2012 წლამდე ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ 11 განჩინებასა და 6 გადაწყვეტილებას, რომლებითაც ძირითადად დადგენილ იქნა კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-3 (წამების აკრძალვა) მუხლების არსებითი და პროცედურული დარღვევები. 2017 წლის 19-21 სექტემბრის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სხდომაზე „ლარიბაშვილის ჯგუფიდან“ დაიხურა საქმე - „ლარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, რომლის შემდგომაც ამავე ჯგუფს ეწოდება „ცინცაბადის ჯგუფი“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე გამოძიების განახლების/დაწყების მაჩვენებელი




2006-2017 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების ფარგლებში გამოძიება დაწყებულ ან განახლებულ საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო სულ 22 პირის მიმართ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფარგლებში დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი




2006-2017 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფარგლებში ჩატარებული გამოძიების შედეგად განაჩენი გამოტანილი იქნა სულ 15 პირის მიმართ.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების
აღსრულების ფარგლებში ჩატარებული გამოძიების შედეგად
გამოტანილი განაჩენები**



ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, 2014-2017 წლებში გადაისინჯა ეროვნული სასამართლოების მიერ სხვადასხვა საქმეზე მიღებული ოთხი პირის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, რომელთაგან სამზე დადგენილ იქნა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო ერთზე ძალაში დარჩა გამამტყუნებელი განაჩენი.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების
აღსრულების ფარგლებში გადასინჯული განაჩენები**



აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 42 საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება ეხებოდა 2013 წლის პირველ იანვრამდე პერიოდში ჩადენილ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს. აღნიშნული გადაწყვეტილებების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგად კი კონკრეტული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მხოლოდ 2013 წელს და შემდგომ პერიოდში. მთლიანობაში დღემდე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 22 პირი და გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 15 პირის მიმართ, მაშინ როდესაც ევროპული სასამართლოს

გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიება დაიწყო ჯერ კიდევ 2006 წლიდან. ფაქტია, რომ 2013 წლამდე, მიუხედავად საქართველოს ვალდებულებისა, არცერთ ზემოაღნიშნულ საქმეზე დროულად არ იქნა ჩატარებული სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიება, რაც დღეის მოცემულობით არსებითად ართულებს საქმეთა უმეტესობაზე საკმარისი მტკიცებულებითი სტანდარტის შექმნას, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენიდან დიდი დროა გასული.

5. ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა

ოჯახური დანაშაული

საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში, რომელიც 2017 წლის იანვარში დამტკიცდა, ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი მექანიზმის ეფექტიანად გამოყენებისა და აღნიშნული დანაშაულის პრევენციის მიზნით შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები განისაზღვრა:

- ✓ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კანონმდებლობის არსებობა;
- ✓ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების გამოვლენის მექანიზმების გაუმჯობესება;
- ✓ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;
- ✓ სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი გამოძიების წარმოება;
- ✓ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტების შედგირება;
- ✓ პროკურორთა და პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე, სხვა სტრუქტურებთან ურთიერთობის გაღრმავება და პრევენციულ ღონისძიებებში საზოგადოების ჩართვა.

პროკურატურა აქტიურად მუშაობს სტრატეგიით დასახული მიზნების მისაღწევად.


გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაცია და 2017 წელს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელ ერთეულად საქართველოს მთავარ პროკურატურაში ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო განისაზღვრა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი და ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველო მუდმივად ახორციელებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეთა მონიტორინგს და ატარებს ყოველწლიურ ანალიზს, რომლის ფარგლებშიც მუშავდება სტატისტიკური მონაცემები და ფასდება გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხი.

მონიტორინგის საფუძველზე ხდება ამ მიმართულებით არსებული რეკომენდაციის განახლება, გადამზადების საჭიროებების განსაზღვრა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა.


ჩატარებული პრევენციული ღონისძიებებისა და საპროკურორო ზედამხედველობის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ოჯახური დანაშაულის დაზარალებულთა მომართვიანობისა და შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. 2014 წელს ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 550, 2015 წელს - 1066, 2016 წელს - 1356, ხოლო 2017 წელს - 1986 პირის მიმართ.

ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი




პროკურატურის მიერ ოჯახურ დანაშაულში ბრალდებული პირების მიმართ კვლავ ხორციელდება მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა. გაზრდილია პროკურორთა მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი. 2014 წელს პატიმრობა მოთხოვნილი იქნა ოჯახური დანაშაულის ჩამდენ ბრალდებულთა 14%-ის მიმართ, 2015 წელს - 26%-ის, 2016 წელს - 54%-ის, ხოლო 2017 წელს - 83%-ის მიმართ.

ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი




რაც შეეხება ოჯახურ დანაშაულზე მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელს, 2014 წელს ეს მაჩვენებელი იყო 83%, 2015 წელს - 70%, 2016 წელს - 52%, ხოლო 2017 წელს - 58%.

ოჯახურ დანაშაულზე მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი



შემცირდა ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელი. 2014 წელს საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ოჯახური დანაშაულისთვის ბრალდებულ პირთა 57.4%-თან, 2015 წელს - 50.9%-თან, 2016 წელს - 50.3%-თან, ხოლო 2017 წელს მხოლოდ 42.1%-თან, მაშინ როცა 2017 წელს საპროცესო შეთანხმების ზოგადი მაჩვენებელი 70.4%-ია.

ოჯახურ დანაშაულზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცენტული მაჩვენებელი



ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ იშვიათად ხდება განრიდების გამოყენება. კერძოდ, 2016 წელს განრიდება გამოყენებულ იქნა ამ დანაშაულის ჩამდენი 19 პირის მიმართ (რომელთაგან შვიდი სრულწლოვანია, შვიდი არასრულწლოვანი, ხოლო ხუთი - 18-დან 21 წლამდე პირი), ხოლო 2017 წელს - მხოლოდ 5 პირის მიმართ (რომელთაგან ორი სრულწლოვანია, ერთი არასრულწლოვანი, ხოლო ორი - 18-დან 21 წლამდე პირი).

2017 წელს განახლდა რეკომენდაცია ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე აუცილებელი საგამომიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ, რომლის მიზანია ძალადობის ფაქტების სრულყოფილი გამოძიება, ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელება და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფა.

ისევე როგორც გასულ წლებში, 2017 წელსაც, საქართველოს მთავარ პროკურატურაში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ოჯახური დანაშაულის თემაზე კონფერენცია გაიმართა, რომელზეც პროკურატურის მიერ წარმოდგენილ იქნა ოჯახური დანაშაულის და ქალთა მიმართ ჩადენილი მკვლევარობების ანალიზი, ინფორმაცია მოძალადეთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის, ძალადობასთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით განხორციელებული აქტივობებისა და პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

2017 წლის მეორე ნახევარში, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდაჭერით გაიმართა სამუშაო შეხვედრა ოჯახურ დანაშაულებზე მომუშავე პროკურორებისა და იმ სამსახურების, ფონდებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც დაზარალებულ პირებს იურიდიულ, ფსიქოლოგიურ, სამედიცინო დახმარებას ან/და თავშესაფარს სთავაზობენ. პროკურორებს მიეწოდათ ინფორმაცია აღმოსავლეთ საქართველოში არსებული იმ სერვისების შესახებ, რომლებსაც დაზარალებულთა სრულყოფილად ინფორმირებისა და დახმარების პროცესში

გამოიყენებენ. მიმდინარე წელს დაგეგმილია ანალოგიური შეხვედრის გამართვა დასავლეთ საქართველოში.

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ოჯახური დანაშაულის საქმეებში ჩართვის მიზნით, ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით მომზადდა კონცეფცია ოჯახური დანაშაულის საქმეებში კოორდინატორთა ჩართვის შესახებ; პროკურატურის მენეჯერებისა და კოორდინატორების მონაწილეობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 26 პირი ოჯახში ძალადობის, ტრეფიკინგისა და ბავშვთა ექსპლუატაციის თემატიკაზე; მომზადდა წინადადებები სისხლის სამართლის კოდექსსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის დასწრების უფლება ოჯახური დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირების მონაწილეობით ჩასატარებელ საგამომძიებო და საპროცესო მოქმედებებზე.

რაც შეეხება, დანაშაულის პრევენციის მიმართულებით განხორციელებულ ღონისძიებებს, 2017 წელს გაიმართა „ადგილობრივი საბჭოს“ 8 სხდომა (თელავში, რუსთავში, ქუთაისში, გორში, ზუგდიდში, მცხეთაში, სამტრედიისში, ქუთაისში). სხდომაზე მოწვეულები იყვნენ შესაბამისი რაიონის ადგილობრივი სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭოზე მოწვეული პირების მონაწილეობით, საზოგადოებრივი პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ღონისძიებები ოჯახურ დანაშაულთან და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით.

„საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში სკოლის მოსწავლეებთან, სტუდენტებთან და მოსახლეობასთან ჩატარდა 151 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 7000-მდე მონაწილემ.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2017 წლის მარტში, საჯარო სკოლებში გამოცხადდა ვიდეორგოლების კონკურსი „მოზარდები ძალადობის წინააღმდეგ“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 307-მა საჯარო სკოლამ და 2279-მა მოსწავლემ. ფინალისთვის გამოვლინდა 21 ვიდეორგოლი, რომელთაგან ჟიურის მიერ სამი დასახელდა გამარჯვებულად.

ასევე, „დაზარალებულთა კვირეული“-ს ფარგლებში აღნიშნულ თემაზე ჩატარდა 6 შეხვედრა მოსწავლეებთან, 10 შეხვედრა სტუდენტებთან და 6 შეხვედრა მოსახლეობასთან.

2017 წელს აქტიურად მიმდინარეობდა პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლება ოჯახური დანაშაულის საკითხზე. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე სულ განხორციელდა 6 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდება გაიარა პროკურატურის 83-მა მუშაკმა.

მიმდინარე წელს, ბრძანებით განისაზღვრება იმ პროკურორთა წრე, რომლებიც პრიორიტეტულად იქნებიან ჩართულნი ოჯახური დანაშაულის საქმეებში, როგორც სპეციალიზებული პროკურორები.

საქართველოს პროკურატურის 2018 წლის სამოქმედო გეგმაში ოჯახურ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტიანად განხორციელებისა და აღნიშნული დანაშაულის

პრევენციის მიზნით, გაწერილია სხვადასხვა ღონისძიებები, რომელთა განხორციელება აქტიურად გაგრძელდება.

დისკრიმინაციული ნიშნით და სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაული

2017 წელს, გასული წლის მსგავსად, საქართველოს პროკურატურისთვის კვლავ პრიორიტეტული იყო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. 2017 წელს, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ პროკურორებისთვის შემუშავებული რეკომენდაციის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების მიზნით, შეიქმნა სპეციალური კითხვარი, რომელშიც გაიწერა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესაძლო დაზარალებულის, ბრალდებულისა და მოწმის გამოკითხვის/დაკითხვის ინსტრუქცია. აღნიშნული კითხვარი დაეგზავნა პროკურატურის სისტემის თანამშრომლებს, რის შედეგადაც სისხლის სამართლის საქმეებში გაიზარდა სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ხარისხი და ეფექტიანობა.

2017 წელს სიძულვილის მოტივის შესწავლა მიმდინარეობდა 86 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. კერძოდ, სექსუალური ორიენტაციის ნიშანი შესწავლილ იქნა - 12 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, გენდერული იდენტობის ნიშანი - 37 საქმის, სქესის/გენდერის ნიშანი - 25 საქმის, ეროვნული ნიშანი - 1 საქმის, ეთნიკური ნიშანი - 1 საქმის, ხოლო რელიგიური ნიშანი - 10 საქმის ფარგლებში.

2017 წელს სიძულვილით მოტივირებული დანაშაული დანაშაულებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 44 პირის მიმართ. ამათგან, 4 პირს ბრალი წარედგინა სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, 4 პირს - გენდერული იდენტობის ნიშნით, 2 პირს - რელიგიური ნიშნით, 25 პირს - სქესის/გენდერის ნიშნით, 9 პირს სხვა ნიშნით (სავარაუდო ნიშანი გენდერული იდენტობა - 6 პირი, სექსუალური ორიენტაცია - 1 პირი, რელიგია - 2 პირი).

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის მონაცემებით, ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული პირების რაოდენობა 2017 წელს გაორმაგებულია. ამასთან, თუკი 2016 წელს, პროკურორთა მიერ ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული იყო მხოლოდ სექსუალური ორიენტაციის ნიშანი, 2017 წელი ამ კუთხითაც შეინიშნება პროგრესი. კერძოდ, ზემოხსენებულ ნიშნის გარდა, პირთა ბრალდება მოხდა გენდერული იდენტობის მიმართ გამოვლენილი შეუწყნარებლობის გამოც. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ პროკურორების ცნობიერება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე ამაღლდა და ასევე, დაიხვეწა გამოძიების პროცესში მოტივის იდენტიფიცირების ტექნიკა.

ამასთან, აღსანიშნავია რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასთან დაკავშირებით გადადგმული პოზიტიური ნაბიჯები. კერძოდ, რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე ეფექტიანი საპროკურორო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოში შემუშავდა

რეკომენდაცია, რომელიც შეისწავლა ევროპის საბჭოს ექსპერტმა. რეკომენდაცია ეხება რელიგიურ შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოცემულ ნორმათა განმარტებას, რელიგიური შენობა-ნაგებობების დაზიანებათა შემთხვევებს, ვერბალური შეურაცხყოფის მიყენების სამართლებრივ კვალიფიკაციას და სხვა აქტუალურ საკითხებს.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის ოქტომბერში, საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამართული შეხვედრის ფარგლებში აღნიშნულ რეკომენდაციას გაეცნენ სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წარმომადგენლები. საქართველოში არსებულ რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა საქმეებზე 2013-2017 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკური მონაცემების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებს წარედგინათ ინფორმაცია სიძულვილით მოტივირებული, მათ შორის რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების შესახებ საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის განხორციელებული სასწავლო აქტივობების თაობაზე. შეხვედრის მიზანს, საქართველოში არსებული რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებისთვის საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების გაცნობა, არსებულ გამოწვევებზე მსჯელობა და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის გზების დასახვა წარმოადგენდა.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ საზოგადოების პროაქტიული ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, 2017 წელს საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდსა და სოციალური ქსელის გვერდზე აქტიურად ქვეყნდებოდა ინფორმაცია სექსუალური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლების მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების თაობაზე.

არასათანადო მოპყრობა

არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხის მართებულად გადაწყვეტისა და სწორი პრაქტიკის დანერგვის მიზნით, 2017 წელს პროკურატურის სისტემის თანამშრომლებისთვის გამოიცა რეკომენდაცია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტში მიმოხილულია სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების, წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის გამიჯვნასთან დაკავშირებული საკითხები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ძირითადი სტანდარტები. რეკომენდაცია შეისწავლა ევროსაბჭოს ექსპერტმა, რომელმაც საერთო ჯამში დადებითად შეაფასა იგი (ექსპერტის შენიშვნები და წინადადებები გათვალისწინებულ იქნა). აღნიშნულმა დოკუმენტმა პოზიტიური როლი ითამაშა არასათანადო მოპყრობის ფაქტების სათანადო კვალიფიკაციის პროცესში.

2013-2016 წლების მონაცემებით, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებისა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 127 პირის მიმართ.

2017 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 17 პირის მიმართ. კერძოდ, პოლიციის 3 (1 პირის მიმართ სსკ-ის 333-ე მუხლით და 2 პირის მიმართ სსკ-ის 144³ მუხლით) და პენიტენციური დეპარტამენტის 14 თანამშრომლის მიმართ (აქედან, 2 პირის მიმართ სსკ-ის 144¹ და 144³ მუხლებით, 10 პირის მიმართ სსკ-ის 144³ მუხლით, 2 პირის მიმართ სსკ-ის 333-ე მუხლით).

საქართველოს პროკურატურა მხარს უჭერს დამოუკიდებელი საგამოძიებო დანაყოფის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნას, რომელიც გამოიძიებს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებს. ვფიქრობთ, რომ ასეთ დანაყოფს ექნება მაღალი ინსტიტუციონალური დამოუკიდებლობა. ჩვენ აქტიური მონაწილეობა მივიღეთ კანონპროექტის შემუშავების პროცესში და მზად ვართ კვლავ გავაგრძელოთ თანამშრომლობა აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას.

2017 წელს, ევროკავშირთან და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, წამებისა და არასათანადო მოპყრობის თემაზე ტრენინგი გაიარა 39-მა პროკურორმა და გამომძიებელმა. სწავლება შეეხებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს და მის განმარტებებს, არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაციის პრობლემებს, წამების აკრძალვის კომიტეტის (CPT) სტანდარტებს.

ტრეფიკინგი

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის ბოლო წლების საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. 2017 წლის 27 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც აფასებს სახელმწიფოებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გატარებული ღონისძიებებით, საქართველო 2016 წლის მსგავსად, ისევ შეფასების უმაღლეს - პირველ კალათაშია. დადებითი შეფასების ერთ-ერთი საფუძველია სამართალდამცავი ორგანოების ეფექტიანი და კოორდინირებული საქმიანობა.

პროკურატურა ადამიანით მოვაჭრეების მიმართ მკაცრ პოლიტიკას ატარებს, პროაქტიულად ხორციელდება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა იდენტიფიცირება, ყველა შესაძლო ფაქტზე მყისიერად იწყება გამოძიება და ხორციელდება ეფექტიანი საპროკურორო ზედამხედველობა.

2017 წელს გამოძიება დაიწყო 21 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 ტრეფიკიორის მიმართ.

2017 წელს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებთათმორისო საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის განახლებული სახელმძღვანელო პრინციპები.

2017 წელს პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში პროკურორებმა ტრეფიკინგის დანაშაულის შესახებ 33 საინფორმაციო შეხვედრა გამართეს საქართველოს ყველა რეგიონში.

ტერორიზმი

ტერორიზმი მთელი მსოფლიოსთვის წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. ჩვენს წინაშე დადგა ტერორისტული მიზნებისთვის საქართველოს მოქალაქეების ქვეყნიდან გამგზავრებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველოს ტერიტორიის სატრანზიტო მიზნით შესაძლო გამოყენების პრობლემა. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, საქართველოს პროკურატურის და სხვა სამართალდამცავი ორგანოების კოორდინირებული მუშაობის შედეგად გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები. კერძოდ, რამდენიმე პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მიგრაცია ისლამურ სახელმწიფოში.

ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ წევრობისათვის და მასთან დაკავშირებული დანაშაულებისთვის 2015-2017 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 17 პირის მიმართ, რომელთაგან 6 პირის მიმართ 2017 წელს. ზემოაღნიშნული 17 პირიდან 11-ზე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი (5 პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 2017 წელს).

2017 წელს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ჩატარდა 6 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებში გადამზადება გაიარა საქართველოს პროკურატურის 28 მუშაკმა. ტერორიზმის საქმეების ეფექტიანი გამოძიების თემაზე მიმდინარე წელს საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისათვის განხორციელდა 2 სასწავლო ვიზიტი.

აღსანიშნავია აგრეთვე საქართველოს პროკურატურის აქტიური ჩართულობა ბირთვული მასალისა და რადიოაქტიური ნივთიერებების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით. 2017 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ, რომლებიც აპირებდნენ რადიოაქტიური ნივთიერება „ამერიციუმ 241-ს“ რეალიზაციას. აღნიშნული 4 პირის მიმართ ამჟამად სასამართლოში მიმდინარეობს საქმის განხილვა.

საქართველოს პროკურატურამ მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით გამართულ ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ (ქბრბ) სფეროში ერთობლივ

უწყებათაშორის შეხვედრებში. აღნიშნული შეხვედრების მიზანია ქბრბ ინციდენტებზე რეაგირების უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერება, მართვის და კონტროლის მექანიზმების დახვეწა.


ამდენად, საქართველოს მთავარი პროკურატურის და სხვა სამართალდამცავი სტრუქტურების კოორდინირებული მოქმედებებით მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი შედეგი და საქართველო არ განეკუთვნება ტერორისტული თავდასხმის რისკის მქონე ქვეყანათა რიცხვს.

6. ნაფიც მსაჯულების მიერ საქმეთა განხილვა

2011 წლიდან დღემდე საქართველოს მასშტაბით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ განიხილა 33 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგან 26 სისხლის სამართლის საქმე დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა) ან/და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) მუხლებით.

ზემოაღნიშნული 26 სისხლის სამართლის საქმიდან, 19 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე ან/და 108-ე მუხლებით), 2 საქმე გადაკვალიფიცირდა შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობაზე, 2 საქმეზე ბრალდებულები დამნაშავედ იქნენ ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლთან ერთად წარდგენილ სხვა ბრალდებებში, 2 საქმეზე დადგა სრულად გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 1 საქმეზე დადგა ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენი.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ გამოტანილი ვერდიქტი



ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ განხილული 33 სისხლის სამართლის საქმიდან, შვიდი სისხლის სამართლის საქმე შეეხებოდა თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებს, რომელთაგან 2 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი, ხოლო 5 საქმეზე - გამამართლებელი განაჩენი.

2017 წელს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე გამოსვლის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით გადამზადდა 63 პროკურორი. თეორიული ცოდნის პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენების მიზნით, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტთან თანამშრომლობით, საქართველოს პროკურატურის პროკურორების, მოსამართლეებისა და ადვოკატების მონაწილეობით, გაიმართა ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო პროცესები.

ამასთან, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურის მუშაკებისთვის ჩატარდა ტრენინგი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ევროპული სტანდარტების თემაზე, რომელშიც ჩართული იყო 22 პროკურორი. სწავლების შედეგად მსმენელები გაეცნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ევროპული სტანდარტებსა და ევროკონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებულ საკითხებს.

აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის ინიციატივით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი პროკურორების, ადვოკატებისა და მოსამართლეების შემადგენლობით. ჯგუფის მიერ მომზადდა ინსტრუქციები მოსამართლეებისთვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებზე გამოსაყენებელი კანონის განმარტებების შესახებ. გარდა ამისა, ევროპის საბჭოს ინიციატივით მომზადდა დოკუმენტი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესებზე სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ჭრილში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებზე. აღნიშნული დოკუმენტი უზრუნველყოფს პროკურორების მიერ საპროცესო მოქმედებების განხორციელებისა და გადაწყვეტილებების მიღების დროს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მხედველობაში მიღებასა და გათვალისწინებას.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ სკოლის მოსწავლეებთან და უნივერსიტეტის სტუდენტებთან გამართულ შეხვედრებში, რომლის ფარგლებშიც შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდებათ ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ.

საქართველოს პროკურატურის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ზემოაღნიშნული ნაბიჯები უზრუნველყოფს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალდების ეფექტიან მხარდაჭერას, რაც აისახება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.

7. გამოძიებისა და საპროკურორო საქმისნობის ხარისხის ამაღლება

გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით 2017 წლის განმავლობაში შემუშავებული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- ✓ რეკომენდაცია დაზარალებულთა შესახებ, რომლის მიზანია დაზარალებულთან დაკავშირებული საკითხებისადმი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისი ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბება, რომელიც ორიენტირებული იქნება დაზარალებულთათვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივებასა და მათი უფლებებისა და ინტერესების სრულყოფილად განხორციელებაზე;
- ✓ რეკომენდაცია სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე და 353-ე პრიმა მუხლების გამიჯვნის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს არსებული ხარვეზების გამოსწორებას და ამ მიმართულებით ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
- ✓ რეკომენდაცია პროკურორის დადგენილების საფუძველზე ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს 2016 წლის 12 ივლისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლში განხორციელებული ცვლილების ხარვეზების გარეშე იმპლემენტაციასა და ამ მიმართულებით ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას;
- ✓ რეკომენდაცია აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებების შესახებ, რომლის მიზანია აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდებისას და გირაოს პირობების დარღვევის შემთხვევებში პროკურორების მიერ გირაოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვასთან დაკავშირებით შუამდგომლობის შეტანის ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბება;
- ✓ რეკომენდაცია განაჩენის საკასაციო წესით გასაჩივრების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს პროკურორთა მიერ შედგენილი საკასაციო საჩივრების დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლებას;
- ✓ რეკომენდაცია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და საქართველოს მოქალაქეების, საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირების და უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის აკრძალვის შესახებ;
- ✓ რეკომენდაცია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საკითხებზე, რომელიც წარედგინა საქართველოს მთავარ პროკურორთან მოქმედ საკონსულტაციო საბჭოს (რეკომენდაციას საფუძველად დაედო ანალიზი, რომელიც შეეხებოდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს).
- ✓ რეკომენდაცია მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შესახებ;
- ✓ რეკომენდაცია ოჯახში ძალადობაზე და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე აუცილებელი საგამომიბო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ;

- ✓ რეკომენდაცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის შესახებ;
- ✓ რეკომენდაცია რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის შესახებ.

საქართველოს მთავარი პროკურორის 2017 წლის 31 იანვრის ბრძანებით დამტკიცდა რაიონული და საოლქო პროკურატურების პროკურორთა შეფასების კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც ამჟამად ხორციელდება პროკურორთა შეფასება, როგორც საპროცესო ხელმძღვანელობისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის, ასევე, საპროცესო დოკუმენტების დასაბუთებულობის, სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში პროკურორის მუშაობის, დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დაცვის, ტრენინგებზე მიღწეული შედეგებისა და სხვა აქტივობების მიხედვით. 2017 წლის ბოლოს კი, მთავარი პროკურორის ბრძანებითვე დამტკიცდა პროკურატურის გამომძიებელთა და მთავარი პროკურატურის დეპარტამენტის პროკურორთა შეფასების კრიტერიუმები.

პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების საქმიანობის ხარისხის შეფასებას ახორციელებს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი. დაკისრებული უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისა და შეფასების შედეგებისადმი შეფასებულ პროკურორთა ნდობის ხარისხის გაზრდის მიზნით, აღნიშნული დეპარტამენტის პროკურორებს ჩაუტარდათ ატესტაცია და ახალი თანამშრომლების შერჩევა განხორციელდა შიდა კონკურსის გზით.

პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2017 წელს საქართველოს პროკურატურაში განხორციელდა 162 სასწავლო აქტივობა, რომელთა ფარგლებში გადამზადება გაიარა 2300 პირმა. ტრენინგები ჩატარდა შემდეგ თემებზე: დისკრიმინაციის აკრძალვა; სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ეფექტიანი გამოძიება; სასამართლო უნარ-ჩვევები; სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაცია; პირადი და ოჯახური ცხოვრება; წამება და არასათანადო მოპყრობა; სიცოცხლის უფლების დაცვა; შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება; ფარული საგამოძიებო მოქმედებები; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; სამართლებრივი წერა; ეფექტიანი საჯარო გამოსვლა, კომუნიკაცია და მედიასთან ურთიერთობა; ფულის გათეთრების საქმეთა გამოძიება; კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა; ელექტრონული მტკიცებულებები; საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანა; კორუფციული დანაშაულები და სხვა.

2017 წლის 26-28 ივნისს საქართველოს პროკურატურაში პირველად ჩატარდა პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის მე-8 რეგიონული კონფერენცია თემაზე „დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაბრუნება და

კიბერდანაშაული“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენლებმა და აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის 25 ქვეყნის პროკურატურის ხელმძღვანელმა პირებმა. კონფერენციაზე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების დაბრუნებისა და კიბერდანაშაულის თემებზე პრევენციები წარმოადგინეს ევროპელმა და ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ექსპერტებმა.

8. კვლევები

ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტთან თანამშრომლობით განხორციელდა პროკურორებსა და გამომძიებლებს შორის კომუნიკაციის ეფექტიანობის შეფასების კვლევა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა იმ ხარვეზების გამოვლენა, რომლებიც ხელს უშლის და აჭიანურებს გამომძიების მიმდინარეობის პროცესს. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 73 მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პირი და 216 რიგითი პროკურორი. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული კვლევის საფუძველზე განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვა.

გარდა ამისა, საქართველოს პროკურატურა მუშაობას განაგრძობს რამდენიმე მნიშვნელოვან კვლევაზე, რომლებზეც გესაუბრეთ წინა ანგარიშის წარმოდგენისას. კერძოდ, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრთან თანამშრომლობით, ახორციელებს კვლევას ყოფილ პატიმართა მიერ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ, რომლის მიზანს წარმოადგენს დანაშაულის პრევენციისთვის საჭირო მექანიზმების გაძლიერება და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა. უკვე დასრულდა სავსე სამუშაოები, რაც მონაცემთა შეგროვებას გულისხმობს. სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა 35 ყოფილ პატიმართან და ასევე, ჩატარდა შეხვედრა 4 ფოკუს ჯგუფთან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და დაწესებულების გარეთ მომუშავე სპეციალისტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან და ყოფილ პატიმართა ოჯახის წევრებთან. ამჟამად მიმდინარეობს მონაცემთა ანალიზი.

ასევე, საქართველოს პროკურატურა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად ახორციელებს განმეორებითი დანაშაულის შესახებ კვლევას. კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს გავაანალიზოთ როგორია განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი სხვადასხვა კრიტერიუმის საფუძველზე და ასევე, დაგვეხმარება პრევენციული თუ სხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვაში. კვლევის ფარგლებში უკვე შეგროვდა სტატისტიკური მონაცემები. ამჟამად მიმდინარეობს მონაცემთა დამუშავება.

საქართველოს პროკურატურამ შეიმუშავა კონცეფცია პროკურატურის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების კვლევასთან დაკავშირებით. ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტთან თანამშრომლობით, კვლევის ფარგლებში იგეგმება როგორც საზოგადოების რიგითი წევრების, ასევე პროცესის სხვადასხვა მონაწილის (ბრალდებული,

მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი, მოსამართლე, გამომძიებელი, ადვოკატი და სხვა) აზრის კვლევა პროკურატურასთან მიმართებით.

2018 წელს ასევე ვგეგმავთ პროკურორთა კმაყოფილების კვლევის ჩატარებას, რომელიც ბოლოს ჩატარდა 2016 წელს.

9. გენერალური ინსპექციის მუშაობის შედეგები

მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ 2017 წელს ჩატარებული იქნა 68 სამსახურებრივი შემოწმება პროკურატურის 115 მუშაკის მიმართ.

2017 წელს შემოწმების შედეგების საფუძველზე, დისციპლინური სახდელი დაეკისრა 23 თანამშრომელს (შენიშვნა გამოეცხადა 10 პირს, საყვედური - 7 პირს, პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილი იქნა 4 თანამშრომელი, მენეჯერული რგოლის 2 თანამშრომელი (რაიონული პროკურორი) გადაყვანილი იქნა დაბალი რანგის თანამდებობაზე). სამსახურებრივი შემოწმების დროს აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, რეკომენდაცია გაეგზავნა 14 თანამშრომელს, ხოლო 9 თანამშრომელი სამსახურებრივი შემოწმების პროცესში, პირადი განცხადების საფუძველზე იქნა გათავისუფლებული პროკურატურის სისტემიდან.

2017 წელს საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში გამოძიება დაიწყო 13 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა - 2 მოქალაქის მიმართ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით), რომლებმაც დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინეს პროკურატურის მუშაკის სახელით.

2017 წელს, მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 3 (2 მოქალაქის და 1 ადვოკატის) მიმართ, ხოლო გამამართლებელი - 1 პირის (ყოფილი პროკურორის) მიმართ.

მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექცია ახორციელებს საპროცესო ხელმძღვანელობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში საანგარიშო პერიოდში გამოძიება დაიწყო 4 სისხლის სამართლის საქმეზე. რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილ განაჩენებს, 2017 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 23 პირის მიმართ. მათ შორის, თბილისის საქალაქო სასამართლოში - 12 (9 მოქალაქის, 2 ნოტარიუსის და 1 საჯარო რეესტრის თანამშრომლის), ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოში - 11 პირის (8 მოქალაქის, 2 ნოტარიუსის და 1 საჯარო რეესტრის თანამშრომლის) მიმართ.

10. ეთიკის კოდექსი

პროკურატურის თანამშრომელთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების განჭვრეტადობის უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის ინიციატივით, საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ შექმნილმა სპეციალურმა ჯგუფმა, შეიმუშავა პროკურატურის მუშაკთა ქცევის მარეგულირებელი ეთიკის ახალი კოდექსის პროექტი, რომელშიც მაქსიმალურად დეტალურად აისახა დისციპლინური გადაცდომების ჩამონათვალი. აღნიშნული კოდექსი საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, დამტკიცდა 2017 წლის 25 მაისს.

პროკურატურის მუშაკის ეთიკის კოდექსის ახალ პროექტს მის დამტკიცებამდე გაეცნენ პროკურატურის თანამშრომლები, რომელთა აზრი მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული. პროექტი მოსაზრებებისთვის ასევე წარედგინა საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტს და ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის ექსპერტებს.

ეთიკის ახალი კოდექსი დისციპლინურ გადაცდომებს ყოფს მათი სიმძიმის ხარისხის მიხედვით და აკონკრეტებს მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს კონკრეტული დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში.

საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაწყებულია მუშაობა პროკურატურის მუშაკთა ეთიკის ახალი კოდექსის კომენტარების შექმნასთან დაკავშირებით, რაც მის შინაარსს კიდევ უფრო დახვეწს და განჭვრეტადს გახდის.

2017 წელს პროფესიული ეთიკისა და ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებზე, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის ევროკავშირის პროექტის მხარდაჭერით პროკურატურის თანამშრომლებისთვის ჩატარდა 14 ტრენინგი, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა პროკურატურის 307 მუშაკი. სასწავლო კურსის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა ეთიკის ახალ კოდექსზე და პრაქტიკული მაგალითების განხილვაზე. ასევე, განხორციელდა ტრენინგები პერსონალური მონაცემების დაცვის თემებზე.

11. საკონსულტაციო საბჭო

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს პროკურატურაში შექმნილია საკონსულტაციო საბჭო, რომელიც განიხილავს პროკურატურის მუშაკთა წახალისების, დაწინაურებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს.

2017 წელს ჩატარდა საკონსულტაციო საბჭოს 7 სხდომა და საბჭომ განიხილა საქართველოს პროკურატურის 243 მუშაკის საკითხი.

2017 წელს საკონსულტაციო საბჭოს გენერალური ინსპექციის მიერ წარედგინა სამსახურებრივი შემოწმების დასკვნა პროკურატურის 21 მუშაკის მიმართ. საკონსულტაციო საბჭომ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება მიზანშეწონილად მიიჩნია 17 მათგანის მიმართ, 4 მუშაკს კი მისცა რეკომენდაცია.

2017 წელს საკონსულტაციო საბჭოს წასახალისებლად წარედგინა 148 მუშაკი, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია 74 მუშაკის წახალისება.

2017 წელს საკონსულტაციო საბჭომ განიხილა 74 მუშაკის დაწინაურების საკითხი და მიზანშეწონილად მიიჩნია 18 მათგანის დაწინაურება.

საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარემ გაითვალისწინა საკონსულტაციო საბჭოს ყველა რეკომენდაცია.

12. პროკურატურის ადამიანური რესურსები

დღეის მდგომარეობით საქართველოს პროკურატურაში მუშაობს სულ 801 თანამშრომელი, მათ შორის - 229 ქალი. 801 თანამშრომლიდან 442 არის პროკურორი (მათ შორის 131 ქალი), 93 გამომძიებელი (მათ შორის 8 ქალი), სხვა მუშაკები - პროფესიული საჯარო მოხელეები 140 (მათ შორის 121 ქალი) და ხელშეკრულებით მიღებული პირები 126 (მათ შორის 39 ქალი).

მენეჯერულ პოზიციას იკავებს 111 მუშაკი, მათ შორის 16 - ქალი. მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი 16 ქალიდან 3 არის დეპარტამენტის უფროსი, 1 დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, 10 სამმართველოს უფროსი და 2 რაიონული პროკურორის მოადგილე.

აღსანიშნავია, რომ დღეს მომუშავე 442 პროკურორიდან 255, ხოლო 93 გამომძიებელიდან 45 ყოფილი სტაჟიორია.

2017 წელს სტაჟირების გავლა დაასრულა 58-მა სტაჟიორ-პროკურორმა. სტაჟირებისა და შესაბამის კომისიასთან გასაუბრების შედეგების შეფასების გათვალისწინებით, სისტემაში პროკურორად დაინიშნა 30 მათგანი.


2017 წლის 15 მაისს საქართველოს პროკურატურამ გამოაცხადა სტაჟიორების შესარჩევი ახალი კონკურსი. კონკურსზე განაცხადი შემოიტანა 1315 პირმა, რომელთაგან 62-მა წარმატებით გაიარა კონკურსის სამივე ეტაპი (ტესტირება სპეციალობაში, ტესტირება ზოგად უნარებში და გასაუბრება), ასევე ორთვიანი სწავლების კურსი და უახლოეს პერიოდში დაინიშნებიან სტაჟიორ-პროკურორებად პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში.

13. დანაშაულის პრევენცია

საქართველოს პროკურატურა დანაშაულის პრევენციის მიზნით ახორციელებს ორ პროექტს „საზოგადოებრივი პროკურატურა“ და „ადგილობრივი საბჭო“, რომელთა მიზანია საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების გაზრდა და პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება.

2017 წელს ზემოაღნიშნულ პროექტებში ყველა რაიონული პროკურატურა ჩაერთო. შესაბამისად, პრევენციული ღონისძიებები ხორციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში 2017 წელს ჩატარდა 556 ღონისძიება (მათ შორის 318 საგანმანათლებლო-ინტელექტუალური, 42 კულტურული, 29 სოციალური, 17 სპორტული, 150 საინფორმაციო ღონისძიებები), რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 28 100 პირმა.



2017 წლის აპრილში პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში დაიწყო სატრანსპორტო დანაშაულების პრევენციული კამპანია, რომლის ფარგლებში ჩატარდა 81 ღონისძიება.

ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის პრევენციის მიზნით, საჯარო სკოლებში გამოცხადდა ვიდეორგოლების კონკურსი „მოზარდები ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ“. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 307-მა საჯარო სკოლამ და 2279-მა მოსწავლემ. გადაღებული ვიდეორგოლებიდან ფინალისთვის შეირჩა 21 ვიდეორგოლი, რომელთა ჩვენება „დაზარალებულთა კვირეულის“ ფარგლებში გაიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურაში. სპეციალურმა ჟიურიმ გამოავლინა პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული ვიდეორგოლები.

2017 წელს გაიმართა ადგილობრივი საბჭოს 14 სხდომა (ქუთაისში (2 სხდომა), მცხეთაში, სამტრედიისში, თბილისში (6 სხდომა რაიონების მიხედვით), თელავში, რუსთავში, გორში, ზუგდიდში). თბილისში გამართულ სხდომებზე, სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, განხილულ იქნა ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები, ხოლო სხვა სხდომებზე - ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები.

ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ მომზადდა წლიური ანგარიში, რომელიც 2017 წლის 28 დეკემბერს წარედგინა საკონსულტაციო საბჭოს.


2018 წელს იგეგმება ადგილობრივი საბჭოს პროექტის კიდევ უფრო გაფართოება და თითოეული რაიონული პროკურატურის მიერ მინიმუმ 4 ადგილობრივი საბჭოს სხდომის ჩატარება.

14. საზოგადოებასთან ურთიერთობა

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური

2017 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით ისარგებლა 9913-მა პირმა (მოწმემ, დაზარალებულმა, განმცხადებელმა).

პირები, რომლებმაც ისარგებლეს კოორდინატორთა მომსახურებით



მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის განვითარების მიზნით, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2017 წელს შემუშავდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი.

2017 წლის 26 სექტემბერს, დაზარალებულთა ეფექტური რეფერირების მექანიზმის აწყობის მიზნით, სამუშაო შეხვედრა გაიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურაში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებისა და იმ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც დანაშაულის შედეგად დაზარალებულებს სხვადასხვა ტიპის სერვისებს აწვდიან. შეხვედრაზე მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს პროკურატურაში მოქმედი მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურისა და კოორდინატორების ფუნქციების შესახებ. თავის მხრივ, მოწვეულმა სტუმრებმა იმ სერვისების შესახებ ისაუბრეს, რომლებსაც მათი

ორგანიზაცია დაზარალებულებს სთავაზობს (შეხვედრა განხორციელდა აშშ-ს საელჩოს იუსტიციის დეპარტამენტისა და ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მხარდაჭერით).

2017 წელს კოორდინატორები აქტიურად ჩაერთნენ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიაში. 2017 წლის 27 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურის ორგანიზებითა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით, საქართველოს 7 ქალაქში (თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, გორში, რუსთავში, თელავში, რუსთავში) ჩატარდა დაზარალებულთა კვირეული სლოგანით - „დაინახე, განაცხადე, შეაჩერე!“. კვირეული მიზნად ისახავდა დაზარალებულთა უფლებებისა და კოორდინატორის სამსახურის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობასა და დანაშაულის პრევენციას.

კვირეულის ფარგლებში, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების აქტიური მონაწილეობით, ჩატარდა 48 ღონისძიება:


- ✓ კონფერენცია დაზარალებულის უფლებების, საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების, ასევე, ყველა იმ უწყების წარმომადგენლებმა, რომლებსაც სხვადასხვა ეტაპზე შეხება აქვთ დაზარალებულებთან;
- ✓ გაიმართა შეხვედრები მოსწავლეებთან 6 ქალაქში, სტუდენტებთან 10 უნივერსიტეტში, მოსახლეობასთან 6 ქალაქში;
- ✓ დარიგდა კოორდინატორის სამსახურისა და დაზარალებულის უფლებების შესახებ 5000-მდე ბროშურა;
- ✓ კოორდინატორების, პროკურორებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით 7 ქალაქში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლური ლენტებით გაფორმებული ხეები დაირგა;
- ✓ ძალადობის თემაზე ჩატარდა არტ-ნამუშევრების კონკურსი. კონკურსისთვის წარმოდგენილი ნამუშევრების გამოფენა მოეწყო „თბილისი მოლში“, სადაც ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა საუკეთესო სამი ნამუშევრის ავტორი;
- ✓ მოეწყო ოჯახში ძალადობის თემაზე დოკუმენტური ფილმის ჩვენება სკოლის მოსწავლეებთან;
- ✓ დაზარალებულთა უფლებებისა და საჭიროებების თემაზე 6 ქალაქში ჩატარდა ადგილობრივი საბჭოს სხდომები, რომლებშიც მონაწილეობდნენ ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- ✓ ლისის ტბაზე გაიმართა დაზარალებულთა უფლებებისადმი მიძღვნილი მარათონი.

კოორდინატორთა პროფესიული განვითარების მიზნით, 2017 წელს ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგი. მათ შორის, ოჯახში ძალადობისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე. გარდა ამისა, ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით, კოორდინატორებისა და პროკურორების ერთობლივმა სამუშაო ჯგუფებმა მონაწილეობა მიიღეს ორ რეგიონულ კონფერენციაში, რომლებიც ეძღვნებოდა ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთა დაცვისა და მომსახურების საკითხებს.

საჯარო ინფორმაციის გაცემა

2017 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს მთავარ პროკურატურაში სულ შემოვიდა 319 განცხადება, რომელთაგან სრულად დაკმაყოფილდა 168, არ დაკმაყოფილდა 78, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 66, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს გადაეგზავნა 2, განუხილველად იქნა დატოვებული 2, ხოლო 3 მათგანზე მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება.

რეაგირება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნებზე (2017 წელი)



საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი დაინტერესებული მხარის მიერ ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდა 1 შემთხვევაში, რომელიც არ დაკმაყოფილდა, ხოლო სასამართლოში გასაჩივრდა 2 შემთხვევაში (ამ ეტაპზე მიმდინარეობს საქმის განხილვა).

საქართველოს პროკურატურამ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი თქვა იმ შემთხვევებში, როცა დაინტერესებული პირის მოთხოვნა დაკავშირებული იყო სისხლის სამართლის საქმის მასალების ან/და პირის პერსონალური მონაცემების გასაჯაროებასთან. რიგ შემთხვევებში კი მოთხოვნილი იყო ისეთი სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც საქართველოს პროკურატურის მიერ არ იწარმოება. განუხილველად იქნა დატოვებული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარმოდგენილი ის განცხადებები, რომლებიც არ პასუხობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2017 წელს არ გამოვლენილა.

მოქალაქეებთან კომუნიკაცია და ინფორმაციის გავრცელება

საქართველოს პროკურატურა ღია საზოგადოებისთვის. საქართველოს პროკურატურის მუშაკები ხვდებიან მოქალაქეებს, ასევე, აქტიურად ხორციელებს ინფორმაციის გავრცელებას.

2017 წელს საქართველოს პროკურატურაში სხვადასხვა რანგის პროკურორების მიერ მოქალაქეებთან 414 შეხვედრა განხორციელდა.

2017 წელს საქართველოს პროკურატურის მიერ გამოქვეყნდა 338 განცხადება და ჩატარდა 7 ბრიფინგი.

15. გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო

2017 წლის 21 სექტემბერს საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა. სახელმძღვანელო, რომელშიც გაწერილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა საგამომიებო და საპროცესო მოქმედების ჩატარების პროცედურა და მეთოდოლოგია, საქართველოს პროკურატურის ინიციატივით პროკურორებისა და შს სამინისტროს გამომძიებლებისგან შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა.

სახელმძღვანელო პროკურორებსა და გამომძიებლებს შორის ფუნქციების უკეთ გამიჯვნის, გამოძიების ხარისხის ამაღლებისა და პროცესის მონაწილეებსა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა.

გამომძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოს შემუშავების პროცესში სამუშაო ჯგუფს საექსპერტო დახმარება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ გაუწია, ხოლო მისი დაბეჭდვა და გამოცემა ევროკავშირის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მხარდაჭერის პროექტის დახმარებით გახდა შესაძლებელი. გარდა ამისა, სახელმძღვანელოს შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ევროკავშირის სისხლის სამართლის მხარდაჭერის პროექტის ექსპერტების მიერ მომზადებული მოსაზრებები და რეკომენდაციები.

სახელმძღვანელო აქტიურად დაინერგება გამომძიებლების გადამზადების სასწავლო მოდულებში, რადგან მასში პრაქტიკული ინსტრუქციებია მოცემული და მის საფუძველზე გადამზადებული გამომძიებლები უფრო ეფექტურად შეძლებენ ამა თუ იმ საგამომიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებას და პროცესში მონაწილეთა ინტერესების დაცვასა და გათვალისწინებას.

16. სამომავლო გეგმები

საქართველოს პროკურატურის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია დაწყებული რეფორმების პროცესის გაგრძელება და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება. შესაბამისად, 2018 წელიც იქნება ისეთივე აქტიური და დატვირთული, როგორც იყო 2017 წელი:

- ✓ საქართველოს პროკურატურა მიმდინარე წელსაც გააგრძელებს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების პოლიტიკას. ჩვენს მიერ მომზადებული ანალიტიკური დოკუმენტები, წინა წლის მსგავსად, განხილული იქნება საჯაროდ. საქართველოს პროკურატურის ვებგვერდზე დაიწყება ჩვენს მიერ წარმოებული სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება;
- ✓ კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცევა მოქალაქეებთან კომუნიკაციას, მათ მიერ პროკურორთან შეხვედრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორთა შესახებ კანონის მიღების შემდეგ, კოორდინატორები გამოძიების დაწყებისთანავე პრიორიტეტულად ჩაერთვებიან ოჯახური დანაშაულის, ტრეფიკინგის, სექსუალური ძალადობის საქმეებში, ასევე იმ საქმეებში, რომლებშიც დაზარალებული არასრულწლოვანი ან შშმ პირია;
- ✓ 2018 წელსაც ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ კატეგორიის დანაშაულებზე მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება კვლავ რჩება პრიორიტეტად. გადაიდგმება ნაბიჯები იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს ოჯახური დანაშაულის საქმეებზე საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანობა. აქტიურ ფაზაში გადავა კოორდინაცია იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც სხვადასხვა ტიპის სერვისებს სთავაზობენ ოჯახური დანაშაულის მსხვერპლებს;
- ✓ მიმდინარე წელსაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ორგანიზებულ დანაშაულთან, ტრეფიკინგთან ეფექტიან ბრძოლასა და ტრეფიკინგის ფაქტებისა და დაუსაბუთებელი ქონების გამოვლენას;
- ✓ როგორც იცით, 2017 წლის 30 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით განხორციელდა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანას“ დეკრიმინალიზაცია. მარიხუანას დეკრიმინალიზაცია შეიცავს მისი უკანონო გავრცელების მასშტაბების ზრდის რისკებს. აღნიშნული რისკების შესამცირებლად, კიდევ უფრო პრიორიტეტული ხდება ნარკოტიკული საშუალების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლა;
- ✓ პატიმრობის შემცირება კვლავ რჩება პრიორიტეტად. პატიმრობის დაკმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი ცხადია მიუთითებს შუამდგომლობათა დასაბუთებულობის ხარისხის გაზრდაზე, თუმცა 2018 წელს ამ მიმართულებით კვლავ გაგრძელდება პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლება. ამასთანავე, ავლნიშნავ იმასაც, რომ პატიმრობის შემცირების პარალელურად, მკაცრი იქნება ჩვენი სისხლის სამართლის პოლიტიკა იმ პირებთან მიმართებით, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაული არის განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელი;
- ✓ საპროცესო შეთანხმების გაფორმება კვლავ რჩება პრიორიტეტად, ვინაიდან იგი უფრო სწრაფს და ეფექტიანს ხდის მართლმსაჯულების პროცესს. 2018 წელს საფუძვლიანად იქნება შესწავლილი სხვა ქვეყნების პრაქტიკა საპროცესო შეთანხმებასთან მიმართებით და გადაიდგმება ნაბიჯები

იმისათვის, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცესი გახდეს კიდევ უფრო გამჭვირვალე;

- ✓ 2018 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე შეიქმნება სისხლის სამართლის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაიწერება არასრულწლოვანთა სპეციალიზებული პროკურორების შერჩევისა და შეფასების კრიტერიუმები, ასევე პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. დიდ ქალაქებში გამოიყოფა პროკურორები, რომლებიც იმუშავენ მხოლოდ არასრულწლოვანთა საქმეებზე, რუსთავის პროკურატურაში შეიქმნება არასრულწლოვანზე ორიენტირებული ოთახი;
- ✓ ვფიქრობთ, რომ 2018 წელს დავიწყებთ სისხლის სამართლის საქმისწარმოების ახალ პროგრამაში მუშაობას (ამჟამად მიმდინარეობს პროგრამის ტესტირების პროცესი). ვიმედოვნებთ, რომ ამავე წელს დაიწყება აქტიური მუშაობა აღნიშნული სისტემის სასამართლოსთან ინტეგრაციაზე, რაც პროკურორებს მისცემს სასამართლოში შუამდგომლობებისა და საქმის ელექტრონულად გადაგზავნის შესაძლებლობას;
- ✓ კვლავ რჩება პრიორიტეტად დანაშაულის პრევენციის საკითხებში პროკურორთა აქტიური მონაწილეობა. გააქტიურდება ადგილობრივი საბჭოებისა და არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური ჯგუფების მუშაობა. დაგეგმილ პრევენციულ ღონისძიებებში ჩართულნი იქნებიან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და ღონისძიებების ჩატარების სხვა ინიციატორები;
- ✓ პროკურატურა 2018 წელსაც იზრუნებს პროფესიონალი და კვალიფიციური კადრების მოზიდვასა და განვითარებაზე. პრიორიტეტი იქნება ასევე თითოეული პროკურორისა და გამომძიებლის კვალიფიკაციის კიდევ უფრო ამაღლება და მათი შესაძლებლობების ზრდა. დაიგეგმება ღონისძიებები წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. მიმდინარე წლის მსგავსად, აქტიური იქნება თანამშრომლობა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. დაინერგება ახალი ელექტრონული პროდუქტები (ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის ელექტრონული სისტემა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ასევე სასწავლო პროექტებზე მონაცემების მართვის ელექტრონული სისტემა), რაც გაზრდის მიმდინარე პროცესებში თითოეული თანამშრომლის ჩართულობას.

მინდა მადლობა გადავუხადო პროკურატურის ყველა მუშაკს 2017 წელს მიღწეული შედეგებისთვის. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო პარტნიორ, დონორ ორგანიზაციებს, რადგან მათი ჩართულობისა და თანამშრომლობის გარეშე ამ მიზნების მიღწევა იქნებოდა შეუძლებელი.

იმედი მაქვს, რომ მომავალი წლის განმავლობაში დასახული ყველა გეგმა იქნება დაძლეული პროკურატურის თითოეული თანამშრომლის ხარისხიანი და ეფექტიანი მუშაობით.

საქართველოს მთავარი პროკურორი

ირაკლი შოთაძე